დადგენილება:**დ-37.37210634**
თარიღი:**04/03/2021**

დადგენილება N4

2021 წლის 4 მარტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის

შესრულების წლიური ანგარიშის ფორმებისა და მათი წარდგენის

ვადის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 86-ე მუხლის, 87-ე მუხლის ,,ვ“ და ,,ზ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

დამტკიცდეს წლიური ანგარიშის ფორმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმა, დანართი N2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგინონ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული ასიგნებების წლიური შესრულების ანგარიში - საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, დანართი N1-ის და დანართი N2-ის მიხედვით, რომელიც სავალდებულო წესით, თან დაერთოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშს და გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი